საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გროსჰეიმი ალექსანდრე ალფონსის ძე

ა. გროსჰეიმი

გროსჰეიმი ალექსანდრე ალფონსის ძე [23. II(6. III). 1888, სოფ. ლიხოვკა, ახლანდ. დნეპროპეტროვსკის ოლქი, უკრაინა, – 4. XII. 1948, ლენინგრადი], რუსი ბოტანიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), აზერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1945). 1912 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. მუშაობდა თბილ. ბოტან. ბაღში (1913– 26), თბილ. პოლიტექ. ინ-ტში (1917–30), აზერბ. უნ-ტში (1927– 46), სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის აზერბ. განყ-ბის ხელმძღვანელად (1932–36), მის მიერვე დაარსებული აზერბაიჯანის ბოტან. ინ-ტის დირექტორად (1936–47). 1947-იდან განაგებდა სსრკ მეცნ. აკადემიის აკად. ვ. კომაროვის სახ. ბოტან. ინ-ტის ჰერბარიუმის კავკ. სექტორს და ლენინგრადის უნ-ტის ბოტან. კათედრას. მთელი სამეცნ. მოღვაწეობა მიუძღვნა კავკ. ფლორისა და მცენარეულობის შესწავლას. გ-ის ძირითადი ნაშრომები: „კავკასიის ფლორა" (ტ. 1–4, 1928– 34; მეორე *გამოც.* ტ. 1–7, ბაქო, 1939–67), „კავკასიის ფლორის ანალიზი" (ბაქო, 1936), „კავკასიის მცენარეული რესურსები" (ბაქო, 1946), „კავკასიის მცენარეული საფარი" (მოსკ., 1948), „კავკასიის მცენარეთა სარკვევი" (მოსკ., 1949). შექმნა ყვავილოვან მცენარეთა ორიგინ. ფილოგენეზური სისტემა (1945). მნიშვნელოვანია აგრეთვე მონოგრაფიები: „მტკვარ-არაქსის აუზის მცენარეულობა" (1932) და განსაკუთრებით „თალიშის ფლორა" (1926). გ-ის მრავალწლოვანი საექსპედიციო მუშაობის შედეგად ამიერკავკასიაში შეგროვილი უმდიდრესი მასალა დაცულია თბილ. და ბაქოს ბოტან. ინ-ტების ჰერბარიუმებში, ხოლო მათი დუბლეტები – ლენინგრადისა და ერევნის ბოტან. ინ-ტებში. აღწერა მეცნიერებისთვის

უცნობი მრავალი ახ. სახეობა. გ-ის პატივსაცემად მცენარეთა ერთ გვარსა და მრავალ სახეობას მისი სახელი უწოდეს.

ზ. ღვინიანიძე